ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი № 107 (11718) | შაბათი, 7 მაისი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

გუშინ მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია.

დეპუტატები განიხილავენ და ერთსულოვნად იწონებენ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 5 მაისი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია. კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა. ტრიბუნაზეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი **ნ. ს. ხრუშჩოვი.**

ფოტო ვ. ვოლოდკინისა და ა. პახომოვისა.

★ ★ ★

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიაზე

5 მაისს 17 საათზე კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა **ეროვნებათა საბჭოსა** და **კავშირის საბჭოს** საღამოს გაერთიანებული სხდომა. სხდომის თავმჯდომარე — ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ი. ვ. პეივე** იუწყება, რომ სესიის მისამართით მოდის ცალკეულ მოქალაქეთა და მშრომელთა კოლექტივების დეპეშები, რომლებიც მხურვალედ იწონებენ ნ. ს. ხრუშჩოვის ხელმძღვანელობით მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადასახადის გაუქმების, სამუშაო დღის შემოკლების ღონისძიებებს და მადლობას უხდიან კომუნისტურ პარტიას, უმაღლეს საბჭოს, საბჭოთა მთავრობას საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე ახალი ბრუნვისათვის.

ი. ვ. პეივე აქვეყნებს მთელ რიგ დეპეშებს, რომლებიც მიღებულია ვორონეჟიდან, კიევიდან, იაროსლავლიდან, ომსკიდან, ლენინგრადიდან.

ამის შემდეგ დაიწყო კამათი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო. სიტყვა მიეცა დეპუტატ **ნ. ტ. კალჩენკოს** (უკრაინის სსრ).

— უმაღლესი საბჭოს ახლანდელი სესია, — განაცხადა მან, — დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

ნ. ტ. კალჩენკომ თქვა, რომ ამხანაგ ხრუშჩოვის მოხსენებაში მკაფიოდ ნაჩვენებია ჩვენი ქვეყნის უდიდესი წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობაში, დასახულია მშრომელთა ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების გზები. ჩვენი ხალხი, განაცხადა ორატორმა, ერთსულოვნად უჭერს მხარს თავისი სახელმწიფოს ყოველ წამოწყებას, რადგან კარგად იცის, რომ ყველა ღონისძიება, რომლებსაც ჩვენი პარტია და მთავრობა ახორციელებენ, მიზნად ისახავს მიღწეულ იქნას საპატიო და კეთილშობილური მიზანი — საბჭოთა ადამიანებისათვის შეიქმნას მატერიალური და სულიერი ცხოვრების ისეთი პირობები, როგორიც კაცობრიობას არ ახსოვს.

დეპუტატმა კალჩენკომ აღნიშნა, რომ სესიის განსახილველად შემოტანილი მოსახლეობის გადასახადთა გაუქმების კანონის განხორციელების შედეგად უკრაინის მუშა-მოსამსახურეები უკვე მიმდინარე წლიდან მიიღებენ მნიშვნელოვან დამატებით შემოსავალს, ხოლო მოსახლეობის გადასახადების მთლიანი გაუქმებით ეს შემოსავალი მიაღწევს დაახლოებით 9 მილიარდ მანეთს წელიწადში.

შეეხო რა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რასაც უკანასკნელ კვირეებში ჰქონდა ადგილი, დეპუტატმა კალჩენკომ განაცხადა, რომ უკრაინელი ხალხი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, უდიდესი აღშფოთებით გმობს ამერიკის სამხედრო წრეებს, რომლებიც პროვოკაციის გზით ცდილობენ გამოიწვიონ ახალი გართულებანი, დათესონ უნდობლობა ხალხთა შორის, ზიანი მიაყენონ მშვიდობის საქმეს. ჩვენ მოველით, თქვა მან, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მიიღებს ღონისძიებებს, რათა სამუდამოდ მოუღოს ბოლო საბჭოთა საზღვრის დარღვევას.

თავის გამოსვლაში რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა **ა. ი. სტრუევმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშრომელთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილებისათვის საჭირო პირობების შექმნა, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიადი მიზანია. საბჭოთა ადამიანები კმაყოფილებით იმკიან თავიანთი გმირული შრომის ნაყოფს, თქვა მან. ეს ახარებს მათ და აღფრთოვანებს ახალი საგმირო საქმეებისათვის.

ორატორი შეეხო კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებასთან.

ორატორი სავსებით დაეთანხმა საერთაშორისო მდგომარეობის იმ შეფასებას, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვმა მოგვცა თავის მოხსენებაში.

ამხ. სტრუევს შეაქვს წინადადება — მიღებულ იქნას კანონი მუშა-მოსამსახურეების გადასახადთა გაუქმების შესახებ, რომელიც სავსებით შეესაბამება ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

მუშა-მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმების საკითხი, — განაცხადა თავის გამოსვლაში დეპუტატმა **ჟ. ა. ტაშენევმა** (უკრაინა), — დიდმნიშვნელოვანი აქტია, რომელსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება. იგი ფართო გამოხმაურებას ჰპოვებს მსოფლიოში, და ყველა ქვეყნის მშრომელი ხალხი ერთხელ კიდევ დარწმუნდება საბჭოთა სოციალისტური წყობილების უპირატესობაში.

ამხ. ტაშენევმა შემდეგ მოიყვანა მთელი რიგი მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ უკრაინაში ინდუსტრიის სწრაფ განვითარებას საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე. რესპუბლიკაში 14 ათასი საწარმოა. შვიდწლედში კაპიტალდაბანდებანი წინა პერიოდთან შედარებით მკვეთრად გაიზრდება. ყოველთვიურად სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის დაიხარჯება საშუალოდ 1 მილიარდ 400 მილიონ მანეთზე მეტი.

უკანასკნელ ხუთ წელიწადში უკრაინამ სახელმწიფოს სამი მილიარდი ფუთი პური მიჰყიდა. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს აიყვანონ მარცვლეულის საერთო მოსავალი 1960 წელს 1,5 მილიარდ ფუთამდე და მომდინარე წელს მიაღწიონ მარცვლის წარმოების 1965 წლისათვის დადგენილ დონეს.

შემდეგ ამხ. ტაშენევმა თქვა, რომ იმ წინადადებათა შესაბამისად, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეიტანა უმაღლესი საბჭოს ახლანდელი სესიის განსახილველად, მიმდინარე წლის უკვე მეოთხე კვარტალში უკრაინის მუშა-მოსამსახურეებს გაუუქმდებათ 76 მილიონი მანეთი გადასახადი. დეპუტატმა აღუთქვა სესიას, რომ უკრაინის მშრომელები ძალღონის დაუზოგავად იშრომებენ და ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

— შეუნელებელი ყურადღებით, ჩვენი სოციალისტური სამშობლოსათვის დიდი სიამაყის გრძნობით მოვისმინეთ ჩვენი მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება, — თქვა შემდეგმა ორატორმა, დეპუტატმა **ტ. ი. კისელიოვმა** (ბელორუსიის სსრ).

მუშა-მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმება, სამუშაო დღის შემოკლება, ხაზგასმით აღნიშნა დეპუტატმა, შესაძლებელი გახდა იმ წარმატებათა შედეგად, რომლებიც მოპოვებულია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის განხორციელებაში, მისი ეკონომიური ძლიერების შედეგად.

საბჭოთა ხალხი, რომელიც ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის დიად ამოცანებს, განგრძო დეპუტატმა, სასიცოცხლოდ დაინტერესებულია მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობით. ბელორუსის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ერთსულოვნად იწონებენ მთავრობის საგარეო პოლიტიკას და უსაზღვრო მადლობას უხდიან ამხანაგ ხრუშჩოვს ყველა ქვეყნის ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განსამტკიცებლად მისი დაუცხრომელი მოღვაწეობისათვის.

რამდენიმე დღის შემდეგ შესრულდება ჰიტლერული გერმანიის განადგურების 15 წლისთავი, განაცხადა ტ. ი. კისელიოვმა. დიდი ხანი გავიდა, მაგრამ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება დღემდე არ არის ხელმოწერილი. ჩვენ ასეთი მდგომარეობა სრულიად არანორმალურად მიგვაჩნია. ბელორუსი ხალხი, ისევე როგორც სხვა ხალხები, ვერ შეურიგდება გერმანიის მილიტარიზმისა და რევანშიზმის აღორძინებას. ფაშისტმა დამპყრობლებმა აურაცხელი ტანჯვა მიაყენეს ბელორუს ხალხს. აი რატომ არის, რომ ახლა, როცა გერმანელ რევანშისტებს ატომურ და რაკეტულ იარაღს აძლევენ, ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილად ვუყურო ამას. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება, დასავლეთ ბერლინის საკითხის მოწესრიგება ის გადაუდებელი ამოცანაა, რომელიც უნდა გადაიჭრას ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის.

ახლანდელი სესია განიხილავს განსაკუთრებული პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებს, თქვა დეპუტატმა **ი. ვ. სპირიდონოვმა** (ლენინგრადის ოლქი). ყოველ საბჭოთა მშრომელს ახარებს სამშობლო ქვეყნის წარმატებანი. მაგრამ ჩვენი შესანიშნავი საქმეები არ მოსწონთ იმპერიალისტებს. მათ არასგზით არა სურთ უარი თქვან თავიანთ განუხორციელებელ სურვილზე—უკუღმა შეატრიალონ ისტორიის ჩარხი და ცდილობენ შეინარჩუნონ დაძაბულობა საერთაშორისო ურთიერთობაში.

ყველა საბჭოთა ადამიანი, განაგრძო ორატორმა, აღშფოთებულია თავხედური აგრესიული გამოხდომით — საბჭოთა ტერიტორიაზე ამერიკის თვითმფრინავის შემოჭრით. ჩვენ აღშფოთებული ვართ იმიტომ, თქვა მან, რომ ჩვენი აზრით შეუთავსებელია განცხადებანი მშვიდობისადმი მისწრაფების შესახებ და პროვოკაციული გამოხდომები, რომლებიც ახალი ომის საფრთხეს ქმნიან. ჩვენ აღშფოთებული ვართ იმიტომ, რომ ეს უმბგალითო პროვოკაცია მოხდა პირველი მაისის დიადი საერთაშორისო დღესასწაულის დღეს და პარიზში შეხვედრამდე ორი კვირით ადრე.

ჩვენ, დეპუტატები, თქვა ამხ. სპირიდონოვმა, მხურვალედ ვიწონებთ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობა უმაღლესი დონის თათბირზე მიდის წმინდა გულითადი კეთილი ზრახვებით, რათა მიაღწიოს ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებებს. და თუ ამის მიღწევა შეუძლებელი გახდა, მთელი მსოფლიოსათვის ცხადი იქნება, რომ საბჭოთა კავშირი არ არის ამის მიზეზი.

ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ ისეთი საკითხების განხილვა, რომლებიც ახლანდელი სესიის დღის წესრიგშია შეტანილი, თავისთავად დამაჯერებლად მოწმობს საბჭოთა ქვეყნის სამშვიდობო მისწრაფებებს.

ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი კონგრესისათვის გაგზავნილ წერილში თავის პარლამენტს სთხოვს დაჩქარებით განიხილოს კანონპროექტი ეგრეთწოდებული უშიშროების ურთიერთუზრუნველყოფის პროგრამის განხორციელებისათვის დიდ ასიგნობათა შესახებ და პირდაპირ აღნიშნავს, რომ უზარმაზარი სახსრები მოხმარდება ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეთათვის სამხედრო დახმარებას.

ტრიბუნაზეა ექსკავატორის მეთანქანე დეპუტატი **პ. ი. ბიკოვი** (ჩელიაბინსკის ოლქი). იგი დიდი გულითადობით ლაპარაკობს იმ დაუცხრომელ და ენერგიულ საქმიანობაზე, რასაც ნ. ს. ხრუშჩოვი ეწევა მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

— როგორც საბჭოთა პარლამენტის დეპუტატი, — განაცხადა ორატორმა, — მე ჩემს ამომრჩევლებთან ერთად ვუსურვებ ამხანაგ ხრუშჩოვს წარმატებებს მის კეთილნაყოფიერ და საპატიო მისიაში. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენ, მეშახტეები, გეუბნებით, ნიკიტა სერგეი-ძევ, რომ თქვენს პოზიციას უმაღლესი დონის თათბირზე მხარს დაუჭერს არა მარტო ჩვენი ხალხი, არამედ მსოფლიოს მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები.

დეპუტატი მტკიცე პროტესტს აცხადებს იმ აღვირახსნილი მოქმედების წინააღმდეგ, რაც ჩაიდინა ამერიკის სამხედრო ხროვამ, რომელსაც ახლა დანაშაულზე წასწრეს.

— უკანასკნელ ათ წელიწადში, — აღნიშნა დეპუტატმა, — ჩვენი ქალაქის საცხოვრებელი ფონდი ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა. ყველა ჩვენი ქვანახშირის საწარმო შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადავიდა, ისე რომ ხელფასი კი არ შემცირებულა, არამედ, პირიქით, მნიშვნელოვნად გაიზარდა. კორკინოს შრომელების პირად სარგებლობაშია ბევრი ტელევიზორი, ათეულ ათასობით რადიომიმღები, 433 მსუბუქი ავტომანქანა, 2.500 მოტოციკლი.

დასასრულ ურალელმა მეექსკავატორემ თავისი ამომრჩევლების სახელით მხურვალედ დაუჭირა მხარი კანონპროექტს გადასახადების გაუქმების შესახებ და გულითადი მადლობა გადაუხადა კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობაზე განუწყვეტელი, დაუცხრომელი ზრუნვისათვის.

ამით საღამოს სხდომა დამთავრდა. 6 მაისს სესია მუშაობას განაგრძობს.

* * *

განსაკუთრებული ერთსულოვნებითა და აღმავლობით მიმდინარეობს კრემლში სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია. დეპუტატები

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

განის საკანონმდებლო ასამბლეის დელეგაცია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 6 მაისს კრემლში მიიღო განის საკანონმდებლო ასამბლეის დელეგაციის წევრები, რომლებიც საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

დარბაზობაზე იყვნენ პარლამენტის ლიდერი, განის ეკონომიკის მინისტრი ოფოსუ ბოტსიო (დელეგაციის ხელმძღვანელი); ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი კრობო ედუსეი; სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი ფ. ი. ასარე; პარლამენტის წევრები: უ. ბეიდუ-ანსახი, დოვუნა-ჰამონდი, აბეიფა ალბერტ, კვაკუ ბოატენი. დარბაზობაზე იყო აგრეთვე განის ელჩი საბჭოთა კავშირში ჯ. ბ. ელიოტი, რომელიც დელეგაციის შემადგენლობაში შედის.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და განის საპარლამენტო დელეგაციის წევრებს შორის გაიმართა გულითადი, მეგობრული საუბარი.

დელეგაციის მეთაურმა კოჯო ბოტსიომ ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცა განის პრემიერ-მინისტრის კვამე ნკრუმას მიწვევა — ესტუმროს განას საბჭოთა მთავრობის მეთაურისათვის მოხერხებულ დროს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა კმაყოფილებით მიიღო მიწვევა — ესტუმროს განას. მოგზაურობის დრო შეთანხმებულ იქნება დამატებით.

საუბარს საბჭოთა კავშირის მხრივ ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის მინისტრი ნ. ა. დიგაი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოადგილე ი. ა. მალიკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკის ქვეყნების განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ა. ა. კოლოსოვსკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსის მოადგილე ვ. გ. ვისოტინი. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვთან ვიზიტით იყო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჟ. სამბუ

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ჟ. სამბუმ, რომელიც, პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან სამშობლოში მიმავალი, მოსკოვში იმყოფება, 6 მაისს კრემლში ვიზიტი გაუკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და ჟ. სამბუს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც გულითადად ვითარებაში ჩაიარა.

ვიზიტს დაესწრნენ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ლ. ცენდი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჟ. ბანზარი, რომლებიც ჟ. სამბუს ახლავან, აგრეთვე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ლ. ლუვსანი.

საბჭოთა კავშირის მხრივ ვიზიტს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. ბ. პუშკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ი. ი. ტუგარინოვი. (საკდესი).

სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია. **სურათზე:** სხდომათა დარბაზში.

ფოტო ვ. სავოსტიანოვისა და ვ. სობოლევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიაზე

(დასასრული)

მხურვალედ უჭერენ მხარს წინადადებებს, რომლებიც წამოყენებულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში. საბჭოთა პარლამენტის მუშაობას, რომელიც განიხილავს ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების პროგრამას, შეუნელებელი ყურადღებით ადევნებს თვალყურს მილიონობით ადამიანი. ამას მოწმობენ მრავალრიცხოვანი დეპეშები, რომლებიც მოდის მოსკოვში უმაღლესი საბჭოს სახელზე. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია მიესალმებიან გადასახადების გაუქმებას, სამუშაო დღის შემოკლებას, ჩვენი სახელმწიფოს — ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის მედროშის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას.

6 მაისს დილის 10 საათზე კრემლის დიდ სასახლეში კავშირის საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **ბ. ბ. ლობანოვის** თავმჯდომარეობით განახლდა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

მჭუხარე, ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ დეპუტატები და სტუმრები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს, როცა ისინი მთავრობის ლოჟებში შემოვიდნენ.

გრძელდება კამათი დღის წესრიგის პირველი საკითხის გამო. სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ზ. ტ. სერდიუკს** (მოლდავეთის სსრ).

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ღრმა და შინაარსიან მოხსენებაში, ამბობს დეპუტატი სერდიუკი, დახატულია ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების ახალი მძლავრი აღმავლობის მკაფიო სურათი. ხალხის კეთილდღეობა—ასეთია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საქმიანობის უმაღლესი კანონი.

ორატორი ამბობს, რომ მოხსენებაში მოცემულია საბჭოთა მთავრობის საგადასახადო პოლიტიკის საფუძვლიანი ანალიზი, ხაზგასმულია საშემოსავლო გადასახადის და მოსახლეობის სხვა სახეობათა გადასახადების გარდამავალი ხასიათი. ზ. ტ. სერდიუკი ამბობს, რომ მოლდავეთის სსრ ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი ძირითადად უზრუნველყოფილია სახალხო მეურნეობის შემოსავლით, ხოლო იმ სახსრების წილად, რომლებიც შემოდის მოსახლეობისაგან გადასახადების გადახდევინების გზით, შედ პროცენტზე ნაკლები მოდის.

ორატორი ხაზს უსვამს, რომ სესიის მიერ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადასახადის გაუქმების კანონის განხილვა და მიღება ხელს შეუწყობს აგრეთვე საბჭოთა სახელმწიფოს ავტორიტეტის შემდგომ ამაღლებას საერთაშორისო ასპარეზზე. გადასახადების გაუქმება, სამუშაო დღის შემცირება, ამბობს ზ. ტ. სერდიუკი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ახალი კონკრეტული დადასტურებაა.

დეპუტატი ზ. ტ. სერდიუკი აცხადებს, რომ განსახილველი კანონის პროექტი მთლიანად და სავსებით შეესაბამება საბჭოთა ხალხის ინტერესებს, და წინადადება შეაქვს მიღებულ იქნას კანონი მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადასახადების გაუქმების შესახებ.

საბჭოთა კავშირის მარშალი დეპუტატი **ა. ა. გრეჩკო** ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თვით ფაქტი სესიის მიერ ისეთი საკითხის განხილვისა, როგორიც არის მოსახლეობის გადასახადების გაუქმება, უაღრესად ღირსშესანიშნავია. დაე კაპიტალისტური დემოკრატიის მომხრეებმა, რომლებიც ქება-დიდებას ასხამენ ეგრეთწოდებულ „თავისუფალ სამყაროს“, დაასახელონ ამ ქვეყნად თუნდაც ერთი პარლამენტი, რომელსაც განუხილავს და გადაუჭრია ასეთი საკითხები!

შეეხო რა ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების მიერ საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრების დარღვევას, მარშალმა გრეჩკომ განაცხადა, რომ საბჭოთა ადამიანების გულისწყრომასა და აღშფოთებას იზიარებენ ჩვენი არმიისა და ფლოტის მეომრები. ეს სამარცხვინო და მართლაც ავაზაკური აქტი მით უფრო აღმაშფოთებელია, რომ იგი ჩადენილია საერთაშორისო დაძაბულობის ერთგვარი შენელების პირობებში, მთავრობათა მეთაურების შეხვედრის წინ. ჩვენთვის ყველასთვის გასაგებია ჩვენი დიადი სამშობლოს საჰაერო სივრცეში ავაზაკური შემოჭრის აზრი — ზეგავლენა მოახდინონ ჩვენს სახელმწიფოზე, ჩვენს მშვიდობიან პოლიტიკაზე, გასაგებია ცდა შეინარჩუნონ ცივი ომი. მაგრამ პროვოკაცია ჩაიფუშა. საბჭოთა მეომრებმა პირნათლად შეასრულეს თავიანთი მთავრობის ბრძანება. მტრის თვითმფრინავი ჩამოაგდო რაკეტამ პირველი გასროლით, აცხადებს სესიის მონაწილეთა ტაშის გრიალში მარშალი გრეჩკო. რაკეტები ჩვენ საკმაოდ გვაქვს, განაგრძობს იგი. რაკეტები გვეყოფა ყველა თვითმფრინავისათვის, რომლებიც შეეცდებიან დაარღვიონ ჩვენი საზღვრები.

მუშა-მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმების საკითხის განხილვას მეხუთე სესიაზე განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, განაცხადა თავის გამოსვლაში დეპუტატმა **ტ. ულჯაბაევმა** (ტაჯიკეთი). ამით თვალსაჩინოდ ვლინდება საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს სულ უფრო მზარდი ეკონომიური ძლიერება, სოციალიზმის უდიდესი უპირატესობანი, რომლებსაც მშრომელებისათვის მოაქვთ თავისუფლებისა და უზრუნველყოფილი ცხოვრების ყოველგვარი სიკეთე.

ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში, თქვა ამხ. ულჯაბაევმა, ლენინური პოზიციებიდან მოცემულია თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ღრმა და ყოველმხრივი ანალიზი, მკაფიოდ არის ნაჩვენები ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ჭეშმარიტად ტიტანური საქმიანობა მთელ მსოფლიოში მშვიდობის განსამტკიცებლად.

მოსკოვის ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის მეჩარხემ დეპუტატმა **ვ. ი. ივანოვამ** განაცხადა: პარტია და მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რათა ჩვენმა ხალხმა, კომუნიზმის მშენებელმა ხალხმა დღითიდღე უკეთ იცხოვროს. თვითეული ჩვენგანი გრძნობს მშრომელთა ცხოვრების დონის განუწყვეტელი ამაღლების პროგრამის წარმატებით განხორციელების შედეგებს.

— ჩვენი გეგმები გრანდიოზულია და ჩვენ მტკიცე მშვიდობა გვესაჭიროება, — ამბობს ვ. ი. ივანოვა. — მთელი საბჭოთა ხალხი მხარს უჭერს საბჭოთა მთავრობის ბრძნულ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. ოკეანესგაღმელ პროვოკატორთა თავხედურმა მოქმედებამ ჩვენი აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია. ქარხნის კოლექტივი მხარს უჭერს ჩვენი მთავრობის გადამწყვეტ ღონისძიებებს ამ პროვოკაციის აღსაკვეთად და სწორად მიაჩნია ეს ღონისძიებანი.

— ის საკითხები, რომლებსაც ახლანდელი სესია განიხილავს, მოასწავებენ კომუნისტური მშენებლობის ახალ ეტაპს, თქვა დეპუტატმა **გ. დ. ჯავახიშვილმა** (საქართველოს სსრ). ჩვეულებრივად კი არა, ჭეშმარიტად რევოლუციურად ჟღერს სიტყვები: მუშა-მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმება, ექვსი და შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა. გადასახადების გაუქმების შესახებ კანონის მიღება საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის ახალი კონკრეტული დადასტურებაა.

დეპუტატი ზ. ტ. სერდიუკი აცხადებს, რომ განსახილველი კანონის პროექტი მთლიანად და სავსებით შეესაბამება საბჭოთა ხალხის ინტერესებს, და წინადადებას შეაქვს მიღებულ იქნას კანონი მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადასახადების გაუქმების შესახებ.

საბჭოთა კავშირის მარშალი დეპუტატი **ა. ა. გრეჩკო** ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თვით ფაქტი სესიის მიერ ისეთი საკითხის განხილვისა, როგორიც არის მოსახლეობის გადასახადების გაუქმება, უაღრესად ღირსშესანიშნავია. დაე კაპიტალისტური დემოკრატიის მომხრეებმა, რომლებიც ქება-დიდებას ასხამენ ეგრეთწოდებულ „თავისუფალ სამყაროს“, დაასახელონ ამ ქვეყნად თუნდაც ერთი პარლამენტი, რომელსაც განუხილავს და გადაუჭრია ასეთი საკითხები!

შეეხო რა ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების მიერ საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრების დარღვევას, მარშალმა გრეჩკომ განაცხადა, რომ საბჭოთა ადამიანების გულისწყრომასა და აღშფოთებას იზიარებენ ჩვენი არმიისა და ფლოტის მეომრები. ეს სამარცხვინო და მართლაც ავაზაკური აქტი მით უფრო აღმაშფოთებელია, რომ იგი ჩადენილია საერთაშორისო დაძაბულობის ერთგვარი შენელების პირობებში, მთავრობათა მეთაურების შეხვედრის წინ. ჩვენთვის ყველასთვის გასაგებია ჩვენი დიადი სამშობლოს საჰაერო სივრცეში ავაზაკური შემოჭრის აზრი — ზეგავლენა მოახდინონ ჩვენს სახელმწიფოზე, ჩვენს მშვიდობიან პოლიტიკაზე, გასაგებია ცდა შეინარჩუნონ ცივი ომი.

ხალხის საკეთილდღეოდ!

საქართველოს მშრომელები მხურვალედ იწონებენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში მოცემულ ბიბლიოთეკა.

მზურვალედ ვიწონებთ!

მოსკოვი, კრემლი, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს

გუშინ ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების მიტინგი მხურვალედ იწონებს და მხარს უჭერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მოხსენებაში „მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმების და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების სხვა ღონისძიებათა შესახებ“.

საშემოსავლო გადასახადის, აგრეთვე უცოლშვილო, უქმარშვილო, მარტოხელა და მცირერიცხოვან ოჯახიანი მოქალაქეების გადასახადის გაუქმება მნიშვნელოვნად ზრდის მუშა-მოსამსახურეთა რეალურ ხელფასს.

ფასების მასშტაბის შეცვლა ბევრად გაადიდებს მანეთის მყიდველობით უნარს და ხელს შეუწყობს ჩვენი სამშობლოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

ხალხის კეთილდღეობისათვის მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის საპასუხოდ ჩვენი კოლექტივი ვალდებულებას იღებს იმუშაოს კიდევ უკეთ, აამაღლოს პროდუქციის ხარისხი, შეამციროს თვითღირებულება, მნიშვნელოვნად გაზარდოს შრომის ნაყოფიერება.

ქარხნის კოლექტივი ერთხმად იწონებს მშობლიური საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, მკაცრად კიცხავს იმპერიალისტების ყოველ პროვოკაციულ გამოხდომას, მიმართულს ხალხთა საერთო ნების წინააღმდეგ — ვაშენოთ მშვიდობიანი ცხოვრება.

ვარწმუნებთ უმაღლესი საბჭოს სესიას, რომ თავდადებული შრომით ვადამდე შევასრულებთ შვიდწლედის მეორე წლის სახელმწიფო გეგმას.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

მიტინგის მონაწილეთა დავალებით:

ბ. მაცაბერიძე — ქარხნის უფროსი, დ. აბუთიძე — პარტიული კომიტეტის მდივანი, ბ. დაუნელი — საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე, ი. ბაბაევი — მექანიკოსი, ნ. ნიკოლაძე — კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, დ. ამირანაშვილი — ზეინკალი, მ. გაგნუნაშვილი — კომუნისტური შრომის საამქროს უფროსი.

* * *

სურათზე: კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ნ. ნიკოლაძე ხელს აწერს მისასალმებელ დეპეშას. ფოტო ვ. გინზბურგისა.

დიდებული პროგრამა

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ჩვენი ქვეყნის კომუნისტური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე თავისი მჭერმეტყველების მკაფიობითა, და დამაჯერებლობის დიდი ძალით დასახა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდის შესაბამისი რეალური ამოცანები, რაც მუშა-მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმებით, შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადასვლის დამთავრების; ფასების მასშტაბის და მიმოქცევაში მყოფი ფულის ახალი ფულით შეცვლის ღონისძიებათა სახით არის წარმოდგენილი და საბჭოთა ქვეყნის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ასპექტშია გაანალიზებული.

საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების ჭეშმარიტად დიდმნიშვნელოვანი ეს აქტი მომზადებულია ჩვენი დიადი სამშობლოს ეკონომიკის მძლავრი განვითარებით და უზრუნველყოფილია უკეთესი მომავლისაკენ მიმართულ ძალთა უძლეველობით, რაც ერთხელ კიდევ დაარწმუნებს მთელ კაცობრიობას სოციალისტური საზოგადოებრივი სისტემის უდიდეს უპირატესობაში.

მთელი საბჭოთა ხალხი, ყველა ქვეყნის კეთილი ნების ყოველი ადამიანი დიდი სიხარულით მიიღებს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების ამ ღონისძიებებს როგორც ადამიანისათვის შეუნელებელი ზრუნვის ნათელ გამოვლინებას.

პროფესორი
პაატა გუგუშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი.

პარტიის სიბრძნე

ყოველდღე სულ უფრო და უფრ[illegible] საგრძნობი ხდება, თუ რაოდენ წყვეტ[illegible] წინ, როგორ ავმაღლდით უკეთესი [illegible] მისისაკენ მიმავალ გზაზე.

ჩვენი პარტიისა და მთავრობის ახ[illegible] ღონისძიებები, რომლებიც საბჭოთა [illegible] სწინებენ, უტყუარი დასტურია ამ[illegible] თუ რა დიდი უპირატესობა აქვს კო[illegible] ნიზმის მშენებელ ქვეყანას კაპიტალ[illegible] ტური სამყაროს წინაშე.

დღეს უკვე მთელ მსოფლიოში აქ[illegible] ალბათ წაკითხული ამხანაგ ნ. ს. ხრ[illegible] ჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღ[illegible] სი საბჭოს მეხუთე სესიაზე. მსოფლ[illegible] საზოგადოებრიობამ ერთხელ კიდევ [illegible] ინახა, რომ ჩვენი ქვეყანა მტკიცედ, უ[illegible] ყევად იცავს მშვიდობას და არავის [illegible] მისცემს ნებას ახალი ომის ქარ-ცეცხ[illegible] მოახვიოს ხალხებს.

ქართველი მშრომელი ახალი შემოქ[illegible] დებითი მიღწევებით უპასუხებენ პა[illegible] ლიური კომუნისტური პარტიის ზრ[illegible] ნვას ხალხის კეთილდღეობაზე.

სერგი ჯილაია,
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი.

ჩვენი სიტყვა

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებ[illegible] რადიოთი მოსმენისთანავე შაქრის კომბ[illegible] ნატის მთელი კოლექტივი შრომითის ვა[illegible] ზე დადგა. გუშინ გეგმის გადამეტებ[illegible] გამოშვებულ იქნა ათობით ცენტნერ[illegible] შაქარი.

კომბინატის საამქროებში ეწყობა [illegible] სიის მასალებისადმი მიძღვნილი სა[illegible] რები. ავგარელი მეშაქრეები დიდ კმაყ[illegible] ფილებას გამოთქვამენ კომუნისტური [illegible] რტიისა და საბჭოთა მთავრობის მ[illegible] დასახულ ამ დიდმნიშვნელოვან ღონ[illegible] ძიებებზე, რომლებიც უზრუნველყო[illegible] ჩვენი ადამიანების ცხოვრების საკეთ[illegible] ბათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებ[illegible]

კომბინატის ინჟინერ-ტექნიკოსები [illegible] მუშა-მოსამსახურეები პარტიისა და მთ[illegible] ვრობის ამ დიდ მზრუნველობას უპასუ[illegible] ხებენ ახალი შრომითი და პოლიტიკურ[illegible] აქტივობით. ისინი წელს იბრძოლ[illegible] იმისათვის, რომ სამშობლოს გეგმის [illegible] დამეტებით მისცენ ასობით ტონა შაქ[illegible] რი და შვიდწლედის რესპუბლიკურ [illegible] ნდმი შეიტანონ 4 მილიონი მანეთი.

შ. ნეფარიძე,
ქარელის რაიონის აგარის შაქრის კომბინატის პარტბიუროს მდივანი.

ადამიანისათვის დიდი ზრუნვა

ბათუმი. („კომუნისტის“ კორ.). აჭარის მშრომელებმა უდიდესი ინტერესით მოისმინეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმების და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების სხვა ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მან გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე. ისინი მხურვალე მოწონებით შეხვდნენ ცნობას, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია მიიღებს კანონს გადასახადების გაუქმებისა და სხვა ღონისძიებათა შესახებ.

— მუშა-მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმება ერთხელ კიდევ ადასტურებს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის იმ უდიდეს ზრუნვას, რომელსაც იჩენს ჩვენი დიდი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა — განაცხადა ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის ზეინკალმა ს. პოვერნოვმა.

ამავე ქარხნის ხარატმა ვ. დოლიძემ და მუშა დ. სოსელიამ თქვეს: ჩვენ ახალი შრომითი წარმატებებით პასუხებთ პარტიისა და მთავრობის ამ დიდ ზრუნვას, ვიშრომებთ იმისათვის, რომ გადაჭარბებით შეასრულოთ სახელმწიფო დავალებანი და ჩვენი წვლილი შევიტანოთ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

მაღაროელთა აღფრთოვანება

ჭიათურა. (საკ. კორ.). „შავი ოქროს“ მომპოვებლები — ჭიათურელი მაღაროელები აღტაცებული არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებით, რომელიც მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის ახალი დადასტურებაა.

სტალინის სახელობის მაღაროს მუშამ სოციალისტური შრომის გმირმა ტ. ფოფხაძემ განაცხადა: — სესია დიდმნიშვნელოვან საკითხს განიხილავს. სამუშაო დღის შემცირება, ხელფასის მოწესრიგება ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვის ახალი მკაფიო გამოვლინებაა. მაღაროელები ამ ზრუნვას გმირული შრომით უპასუხებენ, წელს გეგმის გადამეტებით ათეულ ათასობით ტონა მარგანეცს მისცემენ სამშობლოს.

ყველაზე მაღლა—მშრომელთა ინტერესები

სოხუმი. (საკ. კორ.). შესვენების დროს სოხუმის ი. ბ. სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის მუშები ერთმანეთს მხურვალედ უზიარებდნენ თავიანთ აზრებს,

— მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმება, — თქვა ფაბრიკის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა უჩა ებანოიძემ, — ხალხის კეთილდღეობისა და აყვავებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის დადასტურებაა. ეს ახალი შრომითი გამარჯვებებისათვის აღგვაფრთოვანებს.

გაცხოველებული საუბარი გაიმართა სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მუშებს შორისაც. პირველი შემკერავი საამქროს ბრიგადირმა ი. სიხკომ განაცხადა: — ყოველდღიურად უმჯობესდება საბჭოთა ადამიანების ცხოვრება. გადასახადების გაუქმება და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები იმაზე მეტყველებენ, რომ პარტია და მთავრობა ყველაზე მაღლა აყენებენ ხალხის ინტერესებს. ღოფრთოვანებით ადევნებენ თვალს სესიის მუშაობას აფხაზეთის სამრეწველო საწარმოთა მუშები, საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, რომლებმაც ახალი ძალით გააჩაღეს ბრძოლა შვიდწლედის მეორე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ადამიანთა გედნიერებისათვის

მიტინგი თბილისის უნივერსიტეტში

სულ რამდენიმე დღე გავიდა, რაც ჩვენი რესპუბლიკის კულტურისა და მეცნიერების დიდი ტაძრის — თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალათასიანმა კოლექტივმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად იზეიმა გაზაფხულის, მშვიდობისა და შრომის დღესასწაული — 1 მაისი. ეს სიხარული, ეს საზეიმო განწყობილება არ შენელებულა მომდევნო დღეებშიც. 5 მაისს რადიოთი, ხოლო გუშინ გაზეთებიდან უნივერსიტეტის კოლექტივმა გაიგო უსაზღვროდ სასიხარულო რამ — მუშაობას შეუდგა სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია. მაისის, გაზაფხულის ნამდვილი შესატყვისია ის სიხარული, რაც მთელ საბჭოთა ხალხს აგრძნობინა სესიაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიულმა მოხსენებამ „მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმების და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების სხვა ღონისძიებათა შესახებ“.

სწორედ ამ ისტორიული სესიის მასალებს მიეძღვნა უნივერსიტეტის კოლექტივის დიდი მიტინგი, რომელიც გუშინ შედგა.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ ამხ. ი. გოკაძემ. შემდეგ იგი ინფორმაციისათვის სიტყვას აძლევს უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ ე. ხარაძეს.

— მასალები სესიისა, რომელიც ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს გულში — მოსკოვში მიმდინარეობს, — ამბობს ამხ. ხარაძე, — იწვევს მთელი ხალხის ერთსულოვან მოწონებას, უდიდეს აღფრთოვანებას, ახალი ძალით აღგვიძრავს სიამაყეს მშობლიური საბჭოთა ქვეყნის ძალისა და ძლიერებისათვის. უდიდესი პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას, რომელიც თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია საბჭოთა ხალხისათვის, საბჭოთა ადამიანებისათვის მამობრივი ზრუნვით. მასში ფიქსირებულია ის მძლავრი ეკონომიური აღმავლობა, რასაც ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია, და დასახულია ის ღონისძიებანი, რომლებითაც ხალხის კეთილდღეობა კიდევ უფრო ამაღლდება.

სიტყვით გამოდის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ნ. ქოიავა.

— ეკონომიკის მძლავრი აღმავლობა, — ამბობს იგი, — ჩვენი ხალხის ცხოვრების განუხრელი ზრდის საფუძველია. ამას ღრმად და მეცნიერული ანალიზი აქვს გაკეთებული ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის შესანიშნავ მოხსენებაში. გადასახადების გაუქმება — ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ეს ახალი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება, რასაც პარტია და მთავრობა ატარებს, — შეუძლებელია კაპიტალიზმის სისტემის სინამდვილეში. უგადასახადოდ ვერ იარსებებს ვერც ერთი ბურჟუაზიული სახელმწიფო, ჩვენთან კი ხორცი ესხმება მშრომელთა დიდი ხნის ოცნებას — მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმების შესახებ.

ყოველი მუხლი, ყოველი დებულ[illegible] ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა [illegible] ტყველებს ჩვენი დიადი სამშობლოს [illegible] ლასა და უძლეველობაზე, მის ეკონ[illegible] მიურ ძლიერებაზე. სასიხარულოა, რ[illegible] სწორედ მთავრობის მეთაურთა პა[illegible] ზის თათბირის წინ ხალ[illegible] მიიღო ესოდენ დიდმნიშვნელოვანი [illegible] ტორიული დოკუმენტი ამხ. ნ. ს. ხრუშ[illegible] ვის მოხსენების სახით. ამ საკითხებ[illegible] შეეხო თავის სიტყვაში მიტინგის მონ[illegible] წილე, უნივერსიტეტის კომკავშირულ[illegible] კომიტეტის მდივანი ნ. ბ[illegible] თარაძე, ისტორიის ფაკულტეტის სტ[illegible] დენტთა პროფბიუროს თავმჯდომარ[illegible] ო. ფხაკაძე.

ბოლოს მიტინგზე წაკითხულ იქნა [illegible] მონაწილეთა გულმხურვალე მადლ[illegible] გამომხატველი დეპეშის ტექსტი. რომ[illegible] ლიც გაეგზავნა მოსკოვში ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს.

— უნივერსიტეტის კოლექტივი, — [illegible] თქვამია დეპეშაში, — ერთსულოვნად [illegible] იწონებს სესიის მასალებს და პირობ[illegible] დებს პარტიისა და მთავრობის ზრუნ[illegible] უპასუხოს გორკეცებული მუშაობ[illegible] კომუნიზმის მომავალი მშენებელი კ[illegible] რების მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერ[illegible] გულების სულისკვეთებით აღზრდ[illegible] თვის.

მე-2 გვერდი, შაბათი,
7 მაისი, 1960 წ.

საბჭოთა დელეგაცია პრაღას ჩავიდა

პრაღა, 6 მაისი. (საკ.ინ.). **საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 15 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად დღეს მოსკოვიდან პრაღას ჩავიდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ვ. პოდგორნი.**

უქალაღდო და უმანძილო გაზეთი

7 მაისი, რადიოს დღე

7 მაისს, რადიოს დღეს, მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელები აღნიშნავენ როგორც ჩვენი სოციალისტური კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის დიდ დღესასწაულს.

ყოველ წელიწადს 7 მაისს საბჭოთა მეცნიერები, რადიოსპეციალისტები, რადიომოყვარულთა უდიდესი არმია აჯამებენ თავიანთი მუშაობის შედეგებს, უამაყდებენ შობლიურ პარტიას, ხალხს თავიანთ წარმატებებსა და მიღწევებს.

ეს დღე ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა რადიოტექნიკის ტრადიციული დღესასწაული გახდა.

წლითიწლობით განუზომლად ფართოვდება რადიოს გამოყენების სფერო. ჩვენია დავასახელოთ სახალხო მეურნეობის ისეთი დარგი, რომელშიც რაიმე რადიოტექნიკური დანადგარებსა და ელექტროსწყობს არ იყენებდნენ.

ახლა მსოფლიოში არ არის ისეთი ადგილი რადიოელექტრონული მოწყობილობა, რომლის დამუშავება და ათვისებაც საბჭოთა რადიომრეწველობას არ შეეძლოს.

საბჭოთა რადიოსპეციალისტებმა პირველებმა შექმნეს ელექტრონული მოწყობილობა, რომლის საშუალებით გაშვებულ იქნა დედამიწის პირველი ხელოვნური თანამეგზავრები, ბორკილ შემდეგ სალენტათშორისო სივრცეში გაიგზავნა ავტომატური რაკეტა, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ერას კოსმოსის დაუფლებისა.

საბჭოთა რადიოს განვითარების ისტორია განუყრელად დაკავშირებულია ვ. ი. ლენინის უკვდავ სახელთან.

ოქტომბრის პირველი დღეებიდან დიდმა ლენინმა რადიო რევოლუციის მონაპოვართა სამსახურში ჩააყენა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტების შესახებ რადიოგრამებს გადასცემდნენ კრეისერ „ავრორას“ რადიოსადგური და დეტსკოე სელოს რადიოსადგური. რადიოტელეგრაფის სადგურები ვ. ი. ლენინმა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა მძლავრ პროპაგანდისტად გადააქცია. ამით საძირკველი ჩაეყარა რადიოტექნიკის შემდგომ გამოყენებას აგიტაციისათვის, პროპაგანდისა და ინფორმაციისათვის.

პირველი დოკუმენტი, რომელიც გადაცემულ იქნა რადიოთი, იყო ვ. ი. ლენინის მიერ 25 ოქტომბერს დილით დწერილი მიმართვა „რუსეთის მოქალაქეებისადმი“. იგი იუწყებოდა დროებითი მთავრობის დამხობას და ძალაუფლების გადასვლას მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ხელში.

დიდი ხანია უდიდესი მასშტაბებით განხორციელდა ლენინის იდეები „მილიონთა მიტინგის“, „უქალაღლდო და უმანძილო გაზეთის“, როგორც მოსახლეობის ფართო მასებთან ურთიერთობის, მათი კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალების შესახებ.

კომუნისტური პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს რადიოს მშრომელთა ფართო მასების ყოველდღიურ იდეურ-პოლიტიკურ, კულტურულ და ესთეტიკურ აღზრდაში.

ჩვენი სამშობლოს წარმატებებმა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისა და საყოველთაო მშვიდობისათვის ბრძოლაში შექმნა პირობები ჩვენს ქვეყანაში მთელი იდეოლოგიური მუშაობის ახალი აღმავლობისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდისათვის, შვიდწლიანი გეგმის წარმატებით განსახორციელებლად შრომელთა დარაზმვისათვის, კომუნისტური საზოგადოების ახალი ადამიანის აღზრდისათვის.

ამჟამად რადიომაუწყებლობა საბჭოთა ადამიანების ყოველდღიური თანამგზავრი გახდა.

დიდი მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ქვეყნის ხმა რადიოტალღებს დედამიწის ყველაზე შორეულ კუთხეებამდე მიაქვს.

რადიო ფართოდ დამკვიდრდა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში ახლა 28 მილიონზე მეტი სატრანსლაციო რადიოწერტი და 4 მილიონამდე ტელევიზორია. ომისშემდგომ წლებში შშრომელებმა 25 მილიონზე მეტი რადიომიმღები შეიძინეს.

შვიდწლედი დიდი ამოცანების წინაშე აყენებს საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკებს რადიოკავშირგაბმულობის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის საშუალებებით ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების დარგში.

უკანასკნელ წლებში რადიომაუწყებლობის მძლავრი სადგურის ამოშავებით მიღწეულია რადიომაუწყებლობის პროგრამების შეუფერხებლად და მაღალხარისხოვნად მიღება ჩვენი რესპუბლიკის ყველა რაიონში.

ჩვენში ცოტა რდია ისეთი რაიონი, სადაც მიღწეულია ყველა დასახლებული პუნქტის მთლიანი რადიოფიკაცია.

რადიო და ტელევიზია საბჭოთა ხალხის სულიერი ცხოვრების განუყრელი ნაწილი და კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის შრომელთა შემოქმედებითი ენერგიის მობილიზაციის საბრძოლო საშუალება გახდა.

თბილისის სატელევიზიო ცენტრის ამოშავების მომენტიდან რესპუბლიკის მოსახლეობაში რეგისტრირებულ ტელევიზორთა რაოდენობა გაიზარდა 38.500-მდე. აქედან თბილისში — 35.500-მდე.

იმისათვის, რომ მოსახლეობა უფრო ფართოდ მოიცვას სატელევიზიო გადაცემებმა, უკანასკნელ ორ წელიწადში საქართველოს სსრ კავშირგამბმულობის სამინისტრომ საექსპლოატაციოდ გადასცა სატელევიზიო გადაცემათა რეტრანსლატორები სოხუმში, სტალინირში, გორში, თელავში, გურჯაანში, ბოლნისში, ლენინგორში, ახალციხეში, დუშეთსა და თიანეთში. წელს ამუშავდება ასეთივე რეტრანსლატორები სიღნაღსა და დმანისში.

სატელევიზიო გადაცემათა რეტრანსლატორების მქონე ქალაქების რაოდენობა საქართველოში შვიდწლედის დამლევისათვის გადიდდება.

საქართველოს მთაგორიანი რელიეფის პირობებში ჩვენ შეგჩერდით რადიორელეური ხაზების ფართოდ გამოყენებაზე.

მიმდინარე წელს იწყება თბილის-ქუთაისის რადიორელეური ხაზის მშენებლობა, რაც 1961 წლის ბოლოს დამთავრდება. ამის შედეგად სატელევიზიო გადაცემებს თბილისდან რესპუბლიკის თითქმის მთელ ტერიტორიაზე მიიღებენ. ხოლო როცა დამთავრდება თბილისი-მოსკოვის რადიორელეური ხაზის მშენებლობა, შვიდწლედის ბოლოს შეიქმნება ფართო შესაძლებლობა სატელევიზიო პროგრამების გაცვლისა მოსკოვთან, ლენინგრადთან და საბჭოთა კავშირის რადიორელეური ხაზების საერთო სისტემაში შემავალ სხვა ქალაქებთან. ამასთან მოსკოვსა და სხვა დიდ ქალაქებს თავის მხრივ შესაძლებლობა ექნებათ ამავე რადიორელეური ხაზით მიიღონ ხოლმე თბილისის სატელევიზიო გადაცემები.

მომავალ წელს უნდა დამთავრდეს თბილისის ტელეცენტრის დიდი საპარატო სასტუდიო კომპლექსის ახალი შენობის აგება, რომელიც აღჭურვილი იქნება ტელევიზიის უახლესი რადიოტექნიკური აპარატურით.

სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებში მოცემულია მითითება შვიდწლედის განმავლობაში ფერადი ტელევიზიის დანერგვის აუცილებლობის შესახებ. 1959 წელს მოსკოვში საცდელი გადაცემები დაიწყო აპარატურამ, რომელიც დამზადებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიოელექტრონიკის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოების მიერ.

სატელევიზიო მაუწყებლობის საშუალებათა ექსპლოატაციის გაიაფების მიზნით დანერგილ იქნება სატელევიზიო პროგრამების ჩაწერა მაგნიტურ ლენტზეეს შესაძლებელს გახდის სატელევიზიო გადაცემის პროცესების ავტომატიზაციას და გაუმჯობესებს გამოსახულების ხარისხს.

ფართოდ ცნობილია საბჭოთა კავშირის წარმატებანი ატომის ენერგიის სამშვიდობო მიზნებისათვის გამოყენების საქმეში, ატომური ყინულმჭრელის შექმნაში. მსოფლიოში უმძლავრესი სინქროფაზოტრონის აგებაში. ყველა ეს მიღწევა შესაძლებელი აღმოჩნდა მხოლოდ რადიოელექტრონიკის გამოყენების შედეგად.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გრანდიოზული გეგმა ითვალისწინებს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდებას წარმოების ელექტროფიცირებლობისა და ავტომატიზაციის ბაზაზე. გაფართოვდა ნახევარგამტარ გამაძლიერებელთა და ელექტრონულ მოწყობილობათა გამოყენება მრეწველობის ბევრ დარგში, სადაც ფართოდ დანერგილია გამოსაფველები მანქანები, და ამით შექმნილია პირობები მართვის მაღალეფექტური სისტემის განხორციელებისათვის.

თანამედროვე თბოელექტროსადგურებში ფართოდ იყენებენ ელექტრონულ მოწყობილობას, სადაც კონტროლის, სიგნალიზაციისა და ავტომატური რეგულირების მრავალ ფუნქციას ელექტრონული ხელსაწყოები ასრულებენ.

ყველასათვის ცნობილია, თუ რა ფართო მასშტაბებით წარმოებს ნახევარგამტარ ხელსაწყოთა გამოყენება თანამედროვე ტექნიკაში. შორს არ არის დრო, როცა ვერცერთი რადიოსპეციალისტი ვერ იმუშავებს, თუ არ ექნა ღრმა ცოდნა ნახევარგამტარების შესახებ.

ნახევარგამტარებს განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ ელექტრონულ საანგარიშო მანქანებსა და სატელევიზიო ტექნიკაში, რაც შესაძლებელს ხდის აპარატურის ზომების მნიშვნელოვნად შემცირებას, მის გამარტივებასა და გაიაფებას და მისი წონის შემცირებას. გარდა ამისა, ნახევარგამტარების გამოყენება ელექტროენერგიის მნიშვნელოვან ეკონომიას იძლევა.

წარმოებს მუშაობა ბრტყელი მისაღები სატელევიზიო მილების გამოყენების მისაგნებად, ნაცვლად არსებული მილებისა, რაც შესაძლებელს გახდის ტელევიზორების ზომის ძლიერ შემცირებას.

პრესასთან ერთად რადიო და ტელევიზია წარმოადგენენ კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის განსახორციელებლად მშრომელთა შემოქმედებითი ენერგიის მობილიზაციის საბრძოლო საშუალებას.

ამიტომ ჩვენი პარტია განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს რადიოს და ტელევიზიის საპროგრამო გადაცემებს.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში გაუმჯობესდა რადიომაუწყებლობის შინაარსი, მნიშვნელოვნად გადიდდა მამღები რადიოკვსელი, გაიზარდა რადიოსადგურების სიმძლავრე. მაგრამ რადიომაუწყებლობის დიდი შესაძლებლობანი, რაც რესპუბლიკაში არსებობს, ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ რადიო და ტელევიზია უნდა ემყარებოდეს დიდ საზოგადოებრივ დახმარებას, იზიდავდეს ნოვატორებს, შრომის გმირებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

საჭიროა უფრო აქტიურად ჩავბაძოთ ეს კადრები რადიოს და ტელევიზიის პროპაგანდისტულ მუშაობაში, რათა გავაუმჯობესოთ პარტიული პროპაგანდა და დავუკავშიროთ იგი ცხოვრებას და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებში ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის გიგანტურ ზრდასთან, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებასთან ერთად დასახულია კავშირგაბმულობის, როგორც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის, საშუალებათა შემდგომი აღმავლობა. ეს ნიშნავს სრულად გამოვიყენოთ რადიომაუწყებლობის დიდი შესაძლებლობა, დავნერგოთ რადიოკვანძების მართვისა და კვების ავტომატიზაცია და მექანიზაცია, განსაკუთრებით სოფელ ადგილებში, მოვაწყოთ მრავალპროგრამიანი ტრანსლაციები სადენით, მოვაწესრიგოთ რადიომიმღებებისა და ტელევიზორების აღრიცხვა, რეგისტრაცია და მათი შეუფერხებელი მუშაობა.

დიადი გადაწყვეტილება

უცხოეთის პრესა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების შესახებ

მსოფლიო საზოგადოებრიობის მთავარი უურადღება ამჟამად მიპყრობილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიისადმი. პრესა და რადიო ფართო კომენტარს უკეთებენ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას.

ჩეხოსლოვაკია. „ადამიანის ბედნიერებისათვის“, „ყველაფერი მშვიდობისათვის, ყველაფერი ხალხისათვის“ — ასეთი სათაურებით გამოაქვეყნეს პრაღის გაზეთებმა პირველ გვერდზე ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გახსნის შესახებ, დაწერილებითი შინაარსი ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა სესიაზე. გაზეთები განსაკუთრებით გამოჰყოფენ მოხსენების იმ ადგილებს, სადაც ლაპარაკია საბჭოთა კავშირის გრანდიოზულ წარმატებებზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში, რამაც შესაძლებელი გახადა ახალ ღონისძიებათა განხორციელება საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

გამოხატავენ რა საზოგადოებრიობის აზრს, გაზეთები მიესალმებიან საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას და გმობენ „ძალის პოზიციისა“ და „ცივი ომის“, ავანტიურისტული პოლიტიკის მომხრეთა აგრესიულ ინენებს. გაზეთი „ობრანა ლიდუ“, გამოხატავს რა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების არსს, ხაზს უსვამს, რომ კომუნიზმი ადამიანებს აძლევს იმის ყველა შესაძლებლობას, რომ ბედნიერი ცხოვრება შექმნან დედამიწაზე.

უნგრელი გაზეთი „მადიარ ნემზეტი“ თავის კომენტარებში აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია, რომელიც უმაღლესი დონის თათბირის წინ გაიხსნა, უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მოვლენაა. საბჭოთა მთავრობის მეთაურის მოხსენება, აღნიშნავს გაზეთი, მკაფიოდ იყოფა ორ ნაწილად, რომელთაგან ერთში იგი ეხება საბჭოთა კავშირის შინაური ცხოვრების პრობლემებს და მეორეში — საერთაშორისო მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა მთავრობათა მეთაურების შეხვედრის წინ. მაგრამ მოხსენების ორივე ნაწილს შორის ძალიან მჭიდრო კავშირია. ის ღონისძიებანი, რომლებიც გამოაცხადეს უმაღლესი საბჭოს სესიაზე, მჭიდროდ დაკავშირებულია საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის პრინციპულ საფუძვლებთან, და ამიტომ მათ განმსაზღვრელი როლი აქვთ საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებაში.

გაზეთი წერს, რომ ღონისძიებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირში ხორციელდება, პრეცედენტი არ მოეპოვება. ეს იმის დამამტკიცებელია, რომ კომუნისტური საზოგადოებრივი წყობა მილიონობით მშრომელისათვის უზრუნველყოფს მსოფლიოში საუკეთესო ცხოვრების პირობებს.

ბერლინის გაზეთებმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნეს ცნობები ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების შესახებ. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „ნოიეს დოიჩლანდი“ ისტორიულს უწოდებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომას კრემლში. როგორც გაზეთი აღნიშნავს ღონისძიებანი, რომლებსაც ამჟამად საბჭოთა კავშირში ახორციელებენ, მოწმობენ, რომ კომუნიზმი მოასწავებს ცხოვრების ყველაზე მაღალ დონეს და ადამიანთა ბედნიერებას.

კოლონიური პრესა მთავარ ყურადღებას უთმობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას და მოხსენებას, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვმა იქ გააკთა. გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ წერს, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ ესწრაფვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და ხალხების თანამშრომლობას, მაგრამ იგი არასოდეს არ შედრკება დაშინების რაიმე ცდის წინაშე.

საბჭოთა კავშირი, აღნიშნავს „ეიცე ვარშავი“, კვლავ იცავს თავის წინადადებებს განიარაღების საკითხზე. სსრ კავშირი კვლავ მოუწოდებს ამერიკის შეერთებულ შტატებს შეწყვიტონ „ცივი ომი“, პროვოკაციები, უზრუნველყონ უშფოთველობა და მშვიდობა ამ ქვეყნად.

რუმინეთის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილას და დიდი-რენი სათაურით გამოქვეყნეს ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების ანგარიშები. „ინფორმაციონ“ „ლუმინა“ „ეგზისტენციონალ“ „ეგზისტენციალ“ „ეგზისტენციალ“ „ეგზისტენცი

სურათზე თქვენ ხედავთ თბილისის სატელევიზიო სტუდიის დიქტორებს (მარცხნიდან) ლია მიქაძეს, ჯულიეტა ვაშაყმაძეს, ჟანეტა ასლამაზაშვილს და ალექსანდრა მაჭავარიანს, რომლებსაც ყოველდღე მრავალი ტელემაყურებელი კმაყოფილებით ხედავს და უსმენს.

ფოტო ბ. დადვაძისა და შ. ჩხეტიანისა.

მოსკოვის პრესის მუშაკთა კრება

5 მაისს მოსკოვში კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შეიკრიბნენ ჟურნალ-გაზეთების რედაქციების, რადიოს და ტელევიზიის, გამომცემლობების, პოლიგრაფიული საწარმოების მუშაკები, დედაქალაქის მუშკორთა აქტივი. პრესის დღისადმი მიძღვნილ საღამოზე მოვიდნენ საზღვარგარეთელი სტუმრები — მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების პრესის წარმომადგენლები. კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ე. კ. რაგოზინმა. მოხსენება გააკეთა გაზეთ „პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ პ. ა. სატიუკოვმა.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი.

* * *

პრესის მუშაკთა კრება ამ დღეს გაამართა მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, ლენინგრადში, ულან-უდეში, უფასა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში. (საკდესი).

„ეს ხდება ამერიკაში“

1960 წლის 22-27 თებერვალს გაზეთმა „ნიუ-იორკ პოსტმა“ გამოაქვეყნა თავისი კორესპონდენტის ფერნ მარჯის სტატიების სერია, მიძღვნილი დასავლეთ ვირგინიაში შექმნილი მდგომარეობისადმი. მოგვყავს ეს მასალები ზოგიერთი შემოკლებით.

დასავლეთ ვირგინიის შტატში

„ეს ახლა ამერიკაში ხდება.

არიან ბავშვები, რომლებიც შიმშილობენ.

არიან ბავშვები, რომლებსაც კვება აკლიათ.

არიან ბავშვები, რომლებსაც სამედიცინო დახმარება სჭირდებათ, მაგრამ ვერ მიუღიათ.

და არიან ბავშვები, რომლებიც სკოლაში ვერ დადიან ან ტოვებენ მას, ვინაიდან არ შეუძლიათ საუზმისათვის წაიღონ რამე ან ჩასაცმელი არაფერი აქვთ, ხოლო ზოგჯერ საპონიც არ მოეპოვებათ იმ ტანისამოსის გასარეცხად, რომელიც აცვიათ.

და ყოველივე ეს ახლა ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, დასავლეთ ვირგინიის შტატში.

ეს მდგომარეობა შემთხვევით ან ვინმეს დაუდევრობით როდი წარმოშობილა. ეს სრულებითაც არ არის დროებითი მოვლენა. ქვანახშირის მრეწველობის ზონის ეს საშინელი მდგომარეობა, რომელიც კენტუკის, პენსილვანიის, ტენესისა და ვირგინიის შტატების ზოგიერთ ნაწილსაც მოიცავს, უკვე მრავალი წლის განმავლობაში ქმნის სიღატაკის რაიონებს მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყანაში...



1951 წლს დასავლეთ ვირგინიის შტატის ქვანახშირის მრეწველობაში 118.900 კაცი მუშაობდა, და იგი 163.300 ათას ტონა ქვანახშირს იძლეოდა. 1955 წლისათვის მუშახელი შემცირდა 70.900 კაცამდე, ხოლო ქვანახშირის ამოღება 139.200 ათას ტონამდე. 1959 წელს მუშების რიცხვი შახტებში შემცირდა 56.500 კაცამდე, ხოლო ქვანახშირის მოპოვება, — რომელიც შენელდა მეტალურგთა გაფიცვის შედეგად, — 117.100 ათას ტონამდე. ეს მწარე სტატისტიკური მონაცემები, ისინი ადამიანთა ურთიერთობის ენაზე რომ გადავიყვანოთ, ასახავენ დასავლეთ ვირგინიის შტატის სამხრეთ ნაწილში, აპალაჩის მთების დაურეულებელ მწვერვალებს შუა მდებარე ჩაბნელებულ მიხვეულ-მოხვეულ ხეოვებში მცხოვრებ ადამიანთა მდგომარეობას...

„თანამედროვე ამერიკის განწირულნი“

„ახალგაზრდა და საუკეთესო განათლების მქონე ადამიანები დასავლეთ ვირგინიიდან მიდიან სამუშაოსა და უკეთესი ცხოვრების საძებნელად, მაგრამ ეს ძირს უთხრის შტატის სიცოცხლისუნარიანობას და ჩრდილს აყენებს მის შომავალ პერსპექტივებს.

„უმუშევრობა აქ (ქალაქ უაიტსვილში. — **რედ.**) ისევე დიდია, როგორც შტატის ყოველ სხვა ნაწილში, — განაცხადა ადგილობრივმა მოვდელმა უელერმა. — როლის ოლქის მონაცემებით უმუშევრობამ იქ მოსახლეობის მთელი რიცხვის 29 პროცენტს მიაღწია. შესაძლოა, იგი კიდევ უფრო დიდი იყოს აქ. მე ვშიშობ, რომ მოსახლეობის საუკეთესო ნაწილი მიდის. და ჩვენი მხარე უზარმაზარ ჯურღმულებად გადაიქცევა...“

ქალაქ უაიტსვილის ეკონომიურ მდგომარეობას მკაფიოდ ასურათებს ამანათები ნახშარი ტანსაცმლით, რომლებიც უელერის სახლთან გროვად არის დადგმული. ეს ამანათები მოდის შეერთებული შტატების შორეული ნაწილების ეკლესიებიდან, სადაც ამ ახალგაზრდა მოვდელს თავისი შვებულების დროს ულაპარაკია მეშახტეთა გაჭირვებაზე. შესაძლოა, რომ ეს შეურიული ტანისამოსი... ამ პატარა ქალაქის მცხოვრებთა სატარებელი ტანსაცმლის მთავარი წყარო იყოს...

...მეშახტეები — უფრო სწორად რომ ვთქვათ, ყოფილი მეშახტეები თანამედროვე ამერიკის ტიპიური განწირულნი არიან.

კლაუნი სტოუერი კრიზისმა ყველაფერს მოსწყვიტა. ამ გამხდარმა კაცმა, რომელსაც უკვე წელიწადზე მეტია საშუშაო არა აქვს; მწარედ თქვა: „ჩვენ ძონძები გვაცვია, გავღატაკდით, ვშიმშილობთ, არ შეგვიძლია, შეძლება არა გვაქვს ექიმი მოვიწვიოთ, შემომხედეთ თუნდაც მე“.

მის ცოლს, რომელსაც მართლაც არ შეუძლია მიმართოს ექიმს, თუმცა ადრე კეთილი ყოფილა ავად, ახლა კი კვლავ ავად არის, ისე ავად არის, რომ სუნთქვა ეკვრის და ლაპარაკი უჭირს, არ წაუკითხავს ერთ-ერთი ჩვენი ჟურნალის უკანასკნელი ნომერი, რომელშიც მოთავსებულია დიდი სტატია დასავლეთ ვირგინიაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ.

მაგრამ პირველი სიტყვები, რომლებითაც ქ-ნმა სტოუერმა მომმართა, როცა შეეცადა თავის უბადრუკ ლოგინზე წამოწოლილიყო და იდაყვს დაყრდნობოდა, ასეთი იყო: „ისინი ყველანი ტყუიან ამ ჟურნალში“...

„სამარცხვინოა, ადამიანებს ასე რომ ეჭცევიან“

„ბოკეზანის მაღაროელთა დაბაში შიმშილით სიკვდილი ჯერ კიდევ მომავლის, არც თუ შორეული მომავლის საქმეა, მაგრამ იქ ახლაც შიმშილობენ.

ოდესღაც იქ, მდინარე ტაგის ხეობაში, 300 დაბალი სახლი იდგა, რომლებიც ქვანახშირის კომპანიას ეკუთვნოდა. ამჟამად იქ მხოლოდ 30 ოჯახი დარჩა, და მათი ქოხები თანდათანობით იწევს დაბლა ნოტიო მოწითანო მიწაში, რომელიც გაშიშვლდა მას შემდეგ, რაც ქვანახშირის ამოღება თითქმის შეწყდა.

მოჰეგანი ქალაქი-აჩრდილი როდია. ქალაქი-აჩრდილები, რასაც არ უნდა წარმოადგენდნენ ისინი, წესიერად დაიმარხებიან ხოლმე; მათი შენობები ცარიელდება, ხოლო მოსახლეობა მიდის. მაგრამ მოჰეგანის მცხოვრებლები ბრძოლას განაგრძობენ, და მათი ბრძოლა სიკვდილზე უფრო მტანჯველია.

„სწორედ რომ ვთქვათ, გვითხრა ადა ვილიამსმა, რომელიც 36 წლისაა, მაგრამ გამოიყურება როგორც 50 წლისა, — თავს მოვიკლავდი, პატარები რომ არა მყავდეს“. მას ექვსი შვილი ჰყავს, ამასთან უმცროსი 19 თვისაა, ხოლო უფროსი—20 წლისა. „დღეს დილით სახლში არაფერი მქონდა. როცა ჩემი ქმარი წავიდა, მეზობელთან გადავედი და ორი გირვანქა ლობიო ვესესხე. ოთხი გირვანქა ჰქონდა, და ორი გირვანქა მე მიზიარა“.

...ზოგიერთი შახტის მექანიზაცია და სხვა შახტების დახურვა კატასტროფა იყო მეშახტეთა დაბებისათვის დასავლეთ ვირგინიაში, სადაც უკანასკნელი ორი წლის მანძილზე 35 ათასამდე კაცმა ამოწურა თავისი უფლება დახმარების მიღებისა უმუშევრობისაგან დაზღვევის წესით, ხოლო რაიმე სხვა დახმარების მიღების უფლება მათ არა აქვთ.

მოჰეგანში პირველად ვნახე სასოწარკვეთილებამდე მისული მეშახტეები. თავის მდგომარეობის რომ ამიწერონენ, ვილიამსი და ჰიქსი ტიროდნენ უმწეობისა და რაიმე ღონისძიების მიღების შეუძლებლობის გრძნობისა და მწუხარებისაგან...

„მე ყოველთვის პატიოსნად ვცხოვრობდი, — თქვა ჰიქსმა, თითქოს თავის თავს ეკამათებაო. — სკოლის მეცხრე კლასიდან გამოვედი და შახტში დავიწყე მუშაობა. მამაჩემი მუშაობდა და 11 შვილი გაზარდა. ახლა კი ბავშვებს რეცხვენიათ იარონ სკოლაში თავიანთი ტანსაცმლით. ისინი მეუბნებიან, შეგეძლო უკეთ მოწყობილიყავიო. — მან უძღური გულისწყრომით მოკუმშა მუშტები და განაგრძო: — მაგრამ მე არ შემიძლია უკეთ მოვიწყო. ეს ისეთი საშინელი გრძნობაა“. იგი ლაპარაკობდა უკვე არა თავისი ოჯახის შესახებ, არამედ მეშახტეთა მთელი მხარის შესახებ, და მისი ხმა მწუხარებას გამოხატავდა. „სამარცხვინოა, ადამიანებს ასე რომ ეჭცევიან“, — თქვა მან და გაბრუნდა.

„სამუშაოს ძებნა უსარგებლო საქმეა“

„იმ 72 ათასი კაცის მთავარი საქმე, რომელებსაც ამ შტატში სამუშაო არა აქვთ, შეიძლება ერთი სიტყვით დავახასიათოთ: მოლოდინი. დასავლეთ ვირგინიის სამხრეთ ნაწილის ბევრ პატარა ქალაქში, ისეთებში, როგორიც არიან ეკმანი, კიმბალი, ჰემპჰილი, სკაიგასტი, სტივენსონი, სლეფფორკი, დოროტი და სხვ. მთების მცხოვრებლები, რომლებიც შახტებში პირველად მაშინ ჩავიდნენ, როცა ჯერ კიდევ ბიუები იყვნენ, ამჟამად უსაქმოდ დაეხეტებიან და... მოლოდინში არიან.

„აქ საძებარი არაფერია“, — თქვა 47 წლის ჯონ ლინდსეიმ, რვა შვილის მამამ, რომელიც დათხოვნილ იქნა სამი კვირის წინათ, მას შემდეგ, რაც შახტებში 31 წელზე მეტ ხანს იმუშავა.

როლის ოლქში სახელმწიფო დახმარების განყოფილების ხელმძღვანელმა ქ-ნმა ჰეტი გრეგორიმ განაცხადა, რომ, „სამწუხაროდ“, არ წარმოებს სახსრების გამოყოფა „შრომისუნარიანებისათვის“ დახმარების გასაწევად. მან თქვა: „ჩვენთან ძალიან ბევრი მოდის. ისინი მოგვმართავენ თხოვნით დროებითი დახმარების შესახებ. მათი უმრავლესობა საშემლის თხოულობს, მაგრამ ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვურჩიოთ მათ მიმართონ კერძო ორგანიზაციებს — „ივანისის კლუბს“, „ხსნის არმიას“ და ეკლესიას. ჩვენ უკვე მივმართეთ ყველა ამ ორგანიზაციას და სასამართლოს შენობაშიც კი წავედით და იქ ვაგროვებდით ფულს ხალხში, რომ უსაქმლოდ არავინ დარჩენილიყო. მაგრამ საღამოობით შინ რომ მივდივარ, ხშირად მაწუხებს ფიქრი იმათ შესახებ, ვისაც დახმარება ვერ გავუწიე“.

„შემაძრწუნებელი მონაცემები უმუშევართა რიცხვის შესახებ“

ამ შტატში მონაცემები უმუშევრობის შესახებ საიდუმლოდ ითვლება. შემაძრწუნებელი სტატისტიკური მონაცემები უმუშევართა რიცხვის შესახებ (71.950 კაცი იანვარში, როცა მოსახლეობის საერთო რაოდენობა ორ მილიონზე ნაკლებია, ანუ მთელი მუშახელის 11,5 პროცენტი) დრო და დრო მოთქმა-მოთქმის საგანია, მაგრამ მათ შესახებ აშკარად ეშვიათად ლაპარაკობენ.

მაგალითად, მაღაროელთა ერთ-ერთი დაბის ადგილობრივი შემწეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ტელეფონთან დაურეკა კერძო საგენტოს დირექტორს და სთხოვა მას სტატიის ავტორთან საუბარში „არ გაემხილებინა არავითარი ცნობები“ იმ მოსაზრებით, რომ ამან შტატის რეპუტაციას შეიძლება ვნება მოუტანოსო.

ქალაქ ბლუფილდის მერსერის ოლქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების დირექტორმა დოქტორმა ნიუმენ ალენ დაიერმა, რომელიც 14 კაცისაგან შემდგარი შტატით მომსახურებას უწევს 75 ათასიან მოსახლეობას, განაცხადა, რომ, როგორც წესი, უმუშევრის შვილი „სისხლნაკლული, ფერმკრთალი, სუსტია, მრეყვი ხასიათისაა, ქრონიკული სურდო აქვს. როცა იგი 30 ან 40 წლისა გახდება, მას ალბათ უფრო მეტი ქრონიკული დაავადება ექნება, ვიდრე ახლა აქვს“.

ადგილობრივი შემწეობის დეპარტამენტის რაიონულმა ადმინისტრატორმა პოლინა ელიოტმა გვიამბო: „ერთხელ დღის დაახლოებით ხუთ საათზე ჩემთან მოვიდა რომელიღაც ქალი და მითხრა. „ჩემს ქმარს შერცხვა თქვენთან მოსულიყო, მაგრამ დღეს დილით შინიდან რომ მივდიოდი, ჩვენი ხუთივე შვილი მშიერი იყო. სახლში ვერ დავბრუნდები, თუ რაიმე საჭმელი არ მიეუტანე“.

შემდეგ ელიოტმა უშუალოდ მიმართა სენატის კომისიის წევრებს: „ბატონებო, გეკითხებით, შეიძლება თუ არა დავუშვათ, რომ ამერიკაში თუნდაც ერთი ბავშვი შიმშილობდეს?“.

„გრანდ ოპერის“ სოლისტები ქართულ სცენაზე

ჩვენი ქალაქის საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით მოელოდა პარიზის „გრანდ ოპერის“ თეატრის მსახიობების ლიან დეიდეს და მიშელ რენოს გამოსვლას. მათს განთქმულ ხელოვნებაზე ბევრი რამ გვქონდა გაგონილი ჯერ კიდევ 1957 და 1959 წლებში, როცა საბჭოთა კავშირში პირველად ჩამოვიდნენ ფრანგული ბალეტის ეს ჭეშმარიტად შესანიშნავი ოსტატები.

გუშინ სტუმრები თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ადოლფ ადანის ბალეტ „ჟიზელში“ გამოვიდნენ.

განსაკუთრებული ნიჭის მქონე მსახიობები გამოჩნდებიან თუ არა სცენაზე ყოველთვის იპყრობენ მაყურებელს, ასევე ლიან დეიდეს და მიშელ რენოს პირველი გამოსვლისთანავე იგრძნობოდა, რომ მაყურებლის წინაშე მაღალი ოსტატობის, ორიგინალური ინდივიდუალობის მქონე კლასიკური მოცეკვავეები წარსდგნენ. რომანტიკულ ქორეოგრაფიულ ნოველაში მომხდარი ჩვენთვის ცნობილი ამბები, რომლებიც საფუძვლად დაედო ბალეტ „ჟიზელის“ სიუჟეტის შექმნას, მათ ახალი საღებავებით შეამკეს და შთამაგონებელი გარდასახვა ჩააქსოვეს პოპულარული ბალეტის ქარგაში.

ლიან დეიდე განსაკუთრებული სცენური მიმზიდველობით არის დაჯილდოებული, ჟიზელის სულიერი განცდების გამებს იგი მთელი სიმართლით და ფაქიზი ფსიქოლოგიური შტრიხებით გადმოგვცემს.

...აი ჟიზელი პირველად შეხვდა ჭაბუკ ალბერტს. მას სიხარული მოიცავს, თანაც დარცხვენილია და ოდნავ კეკლუცი. მცირე გათამაშების შემდეგ ალბერტთან იწყებს ცეკვას. ჟიზელს მოჭარბებული ბედნიერება აცეკვებს, გრძნობს, რომ ალბერტისთვის საყვარელი არსებაა და მის გარეგნობას შინაგანი სითბოს და გახსნილობის ელფერი დასცმიცმებს.

რა ბრწყინვალე მოცეკვავედ წარმოგვიდგა სწორედ ამ სცენაში მიშელ რენო! დახვეწილი გემოვნების მხატვარი, რომელსაც ანსამბლური შესრულების პრინციპები შესანიშნავად აქვს შეთვისებული, საცეკვაოს ერთობლივ შთანაფიქრს ღრმად სწვდება და ლიან დეიდეს თუგინდ თვალთაც შეუმჩნეველ ყოველ მოძრაობას ალღოიანად უპასუხებს; იგი ჟიზელისა და ალბერტის ქორეოგრაფიულ დიალოგს, ორი ადამიანის სიყვარულით აღსავსე გულისცემას ინტიმურ აღსარებად ხდის.

შემდგომი ამბები ერთმანეთს დიდი სისწრაფით ცვლიან: გვირილით მკითხაობის სცენა, როდესაც ჟიზელი ჩაკირკიტებით ეკითხება ყვავილს, ალბერტს ვუყვარვარ თუ არაო, თავის დობილებთან გამართული სადღესასწაულო ცეკვით ცვლის, ხოლო ბოლოს კოსტა თარგით შესრულებული ვალსით ამთავრებს. ამ ეტიუდებში ჟიზელი უდარდელად მფრინავ პეპელას გვაგონებს, რომლის ჰაეროვანი ფრთები მზის სხივებში ცისარტყელასავით გარდამავალ ფერებში იძირება. ლიან დეიდეს მიერ შექმნილ სახეში სიყვარულის თემა უფრო გაღრმავებულია, ნდობით და ერთგულებით არის შემკული.

მეორე აქტში ლიან დეიდე მისთვის ჩვეული შთაგონებით გარდასახავს ოცნებას, რომელიც მას თავბრუდამხვევად უხმობს, მაგრამ ამავე დროს ხელიდან უსხლტება. ამით ხაზს უსვამს ჟიზელის სახის მეორე მხარეს, ე. ი. ჟიზელის „წარმოსახვითი“ სახის გამოკვეთას. აქაც, ისევე როგორც პირველ აქტში, ჩვენ აღგვაფრთოვანებს ბალერინის მოძრაობის ნარნარი გამოსახულება, რასაც გასაოცარი დამაჯერებელი განცდები, ნატიფი მიმიკა და ხელების პლასტიკური, ქალურობით აღსავსე მოძრაობა ახლავს.

მიშელ რენო გიპყრობს თავისი ვაუკაცური აღნაგობით, ფიცხი, გაბედული, მაღალი ნახტომებით, ცეკვის დინამიურობით, პოზების ზუსტი გამოძერწვით.

ჟიზელის და ალბერტის დუეტი მეორე აქტში ლიან დეიდეს და მიშელ რენოს შესრულებით საცეკვაო ნომრის „ეფექტურად“ გადმოცემის ჩარჩოებს სცდება და უღერს როგორც სილამაზის საზეიმო ჰიმნი, როგორც ჩაუქრობელი მძლეთამძლე გრძნობების ძალა და მთელი სპექტაკლის იდეური შთანაფიქრის კულმინაციად იქცევა. ამ საბალეტო დუეტში მსახიობები ისე ორგანულად გადადიან ერთი მდგომარეობიდან მეორეში, რომ ამ მდგომარეობათა შეადგენელი ნაწილები — ადაგიო, ორი ვარიაცია და კოდა — საცეკვაო სიუიტის მწყობრ გაერთიანებაში მჭიდროვდება. თავიანთ სიუჟეტურ-ფინალურ შესრულებით ლიან დეიდე და მიშელ რენო უფრო ეკუთვნიან დიდ კლასიკურ ტრადიციებს, ვიდრე ეპოქის ტრფობას ეკუთვნიან. ეს ორივენი ადამიანურ ღირსებას და ცხოველმყოფელობას. თავიანთი შთამაგონებელი შემოქმედებით კლასიკური ტრადიციების მატარებელი საცეკვაო ხელოვნება მათ თანამედროვეობის იმპულსის იმ დონემდე აპყავთ, რომელიც დღევანდელი მაყურებლისთვის გასაგები ხდება.

გამოჩენილი ფრანგი მსახიობების გამოსვლამ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის საერთო მოწონება დიმსახურა.

ლ. მარკოზოვი.

★

სურათზე: ჟიზელი — ლიან დეიდე, ალბერტი — მიშელ რენო.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

სპორტი

ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის მიიწურა. როგორც ცნობილია, ფინალში გავიდნენ სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი და ევროპის თასის მფლობელი რიგის არმიის სასპორტო კლუბისა და თბილისის „დინამოს“ გუნდები.

ჩვენი ქვეყნის ამ მოწინავე კოლექტივების პირველი დასკვნითი მატჩი გაიმართება თბილისში 10 მაისს, ხოლო მეორე — რიგაში 15 მაისს. გუშინ რიგელმა სპორტსმენებმა თბილისის კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე გამართეს პირველი წვრთნა, რასაც „დინამოს“ კალათბურთელებთან ერთად სპორტის მრავალი მოყვარული ესწრებოდა.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში რიგის არმიის სასპორტო კლუბის გუნდის მწვრთნელმა **ა. გომელსკიმ** განაცხადა:

უწინარეს ყოვლისა სასიხარულოა ის, რომ ევროპის ჩემპიონთა თასი საბჭოთა კავშირში რჩება. მომეწონა თქვენი რეკონსტრუირებული სტადიონი, რომელიც მეტ მაყურებელს დაიტევს, ამასთანავე კარგად არის მოწყობილი თამაშისათვის, სპორტსმენებისათვის.

თქვენ ალბათ გაინტერესებთ, თუ რა შეიძლება გითხრათ თბილისის „დინამოსა“ და ჩვენი კალათბურთელების მომავალ ასპარეზობაზე. ეს უთუოდ ერთ-ერთი საინტერესო და დიდი მატჩი იქნება.

თბილისის „დინამოსა“ და რიგის სკა-ს მატჩებში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა. მათ ყოველ შეხვედრას ცენტრალურ ასპარეზობად თვლიან. არც თუ ისე შორეულ წარსულს ეკუთვნის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე „დინამოსა“ და სკა-ს ორთაბრძოლა, რომელიც ჭეშმარიტად ლეგენდარული იყო.

სპორტული მეტოქეობა თბილისისა და რიგის კალათბურთელთა შორის, რომელიც უკანასკნელ წლებში დინამოელთა უპირატესობით აღინიშნება, არ დამცხრალა და დღესაც გრძელდება. ცხადია, იგი ერთხელ კიდევ ჰპოვებს თავის მკაფიო გამოხატულებას 10 მაისის შეხვედრაში.

ჩვენ ვეცდებით მაყურებელს ვუჩვენოთ ნამდვილი სპორტული ბრძოლა. წინაღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით დავთმოთ ევროპის ჩემპიონთა თასი და ამასთან ერთად მომავალ წელს დიდ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება.

დიდი მატჩის წინ

რუმინეთი—საქართველო

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების პირველი საერთაშორისო ამხანაგური მატჩით საფუძველი ჩაეყარა ამ ორი ქვეყნის მოჭადრაკეთა დიდ ასპარეზობებს.

შეჯიბრებას წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალი. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის სახელით სტუმრებს მიესალმა საერთაშორისო ოსტატი ვ. გოგლიძე. სპასუხო სიტყვით გამოვიდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი ტ. რადულესკუ. მატჩის მონაწილეებს შეჯიბრების დებულება გააცნო მთავარმა მსაჯმა ა. ფალავანდიშვილმა.

გუშინ საღამოს თბილისის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში შედგა პირველი ტური. სცენაზე საჭადრაკო დაფებს მიუსხდა 8 წყვილი. ყოველი გუნდიდან გამოდის 5 მოჭადრაკე ვაჟი და 3 ქალი. რუმინეთის გუნდის ყველა წევრი ოსტატია.

ბრძოლა ყველა დაფაზე მძაფრი და შეუპოვარი იყო. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოჭადრაკეებმა პირველი ტურის პარტიები თავიანთ შესაძლებლობათა დაბალ დონეზე ჩაატარეს.

ოსტატმა ნ. გაფრინდაშვილმა უხეში შეცდომა დაუშვა მ. ფეოდორესკუსთან გამართულ პარტიაში და დამარცხება განიცადა.

ა. ბუსლაევ — ბ. დრიმერის პარტიაში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგები იქნა ფიქსირებული ფ. გეორგიუ — ა. იზვოზჩიკოვა — საცეკვაო სიუიტის მწყობრ გაერთიანებაში მჭიდროვდება. თავიანთ სიუჟეტურ-ფინალურ შესრულებით ლიან დეიდე და მიშელ რენო უფრო ეკუთვნიან დიდ კლასიკურ ტრადიციებს, ვიდრე ეპოქის ტრფობას. ეს ორივენი ადამიანურ ღირსებას და ცხოველმყოფელობას. თავიანთი შთამაგონებელი შემოქმედებით კლასიკური ტრადიციების მატარებელი საცეკვაო ხელოვნება მათ თანამედროვეობის იმპულსის იმ დონემდე აპყავთ, რომელიც დღევანდელი მაყურებლისთვის გასაგები ხდება.

გამოჩენილი ფრანგი მსახიობების გამოსვლამ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის საერთო მოწონება დიმსახურა.

ლ. მარკოზოვი.

★

სურათზე: ჟიზელი — ლიან დეიდე, ალბერტი — მიშელ რენო.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ცდილობენ გაამართლონ პროვოკაცია

ვაშინგტონი, 6 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულმა სამმართველომ გუშინ გამართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც სამმართველოს წარმომადგენელი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავი, რომელმაც 1 მაისს თავხედურად დაარღვია სსრ კავშირის საზღვარი და შეიჭრა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ვითომდა მეფრინველად „მშვიდობიანი მიზნით“ „დიდ სიმაღლეზე მეტეოროლოგიური პირობების გამოსაკვლევად“.

მაგრამ მრავალმა კორესპონდენტმა, რომლებიც პრეს-კონფერენციაზე იყვნენ, აშკარად საეჭვოდ მიიჩნიეს ის გაცხადება, რომ თვითმფრინავის ამოცანა იყო მხოლოდ მეტეოროლოგიური პირობების გამოკვლევა.

სამმართველოს წარმომადგენელს, კერძოდ, არაერთგზის შეეკითხნენ, რატომ არიან შეერთებული შტატები ასე ძლიერ დაინტერესებული საბჭოთა კავშირის საზღვრების ახლო ადგილთა მეტეოროლოგიური პირობებით. წარმომადგენელმა ვერ შეძლო დამაჯერებელი პასუხი გაეცა ამ შეკითხვებზე.

მრავალი შეკითხვის პასუხად სამმართველოს წარმომადგენელი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ დაღუპულ თვითმფრინავს არ ჰქონია შეერთებული შტატების ეროვნული საცნობი ნიშნები.

ბრძოლები ალჟირში

კაირო, 6 მაისი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი სარდლობის კომუნიკე ალჟირში 30 აპრილიდან 2 მაისამდე წარმოებული ბრძოლების შესახებ.

ალჟირის არმიის ნაწილებსა და საფრანგეთის კოლონიურ ჯარებს შორის ბრძოლების მსვლელობაში, ნათქვამია კომუნიკეში, მოკლულია 311 და დაჭრილია 138 ფრანგი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპობილია მოწინააღმდეგის 20 ჯავშნიანი მანქანა.

განკარგულება ოგერლენდერის დაპატიმრების შესახებ

ბერლინი, 5 მაისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა გასცა განკარგულება, რომ სისრულეში მოიყვანონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს განაჩენი, რომელიც გამოუტანა დამნაშავე თეოდორ ოგერლენდერს. არსებული დებულების შესაბამისად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განახორციელა ღონისძიებანი იმისათვის, რომ სისრულეში მოიყვანონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს განაჩენი ოგერლენდერის საქმის გამო. იმასთან დაკავშირებით, რომ ოგერლენდერი ამჟამად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ იმყოფება, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მისი გვარი შეიტანა იმ პირთა სიაში, რომლებსაც ეძებენ დასაპატიმრებლად.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს გაუგზავნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს განაჩენი და სთხოვა დაეპატიმროს ოგერლენდერი და გადასცეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანოებს.

ყველაზე დიდი გამოფენა საზღვარგარეთ

პარიზი, 4 მაისი. საკდესის კორესპონდენტი **ა. ბარანოვი** იუწყება: დღეს აქ ოფიციალურად გაიხსნა რუსული და საბჭოთა ფერწერისა და გრაფიკის გამოფენა. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის ხუთ ვრცელ დარბაზში, სადაც განლაგებულია გამოფენის ექსპონატები, წარმოდგენილია რუსული ფერწერის ოსტატთა და 11 მოკავშირე რესპუბლიკის 56 საბჭოთა მხატვრის ნამუშევრები.

გამოფენის დირექტორმა, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პ. ი. ლებედევმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ ეს გამოფენა რუსული და საბჭოთა ფერწერის ყველაზე დიდი გამოფენაა საზღვარგარეთ. საფრანგეთში ასეთი გამოფენა საბჭოთა ხელოვნების წლებში პირველად ეწყობა.

გამოფენის ოფიციალურ გახსნას დაესწრნენ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები. საბჭოთა კავშირის მხრივ გამოფენის გახსნაზე იყვნენ სსრ კავშირის საფრანგეთის საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

გამოფენა 4 ივნისამდე გაგრძელდება.

პროვოკაციები კამბოჯის საზღვარზე

ნიუ-იორკი, 6 მაისი, (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი პნომ-პენიდან იუწყება, კამბოჯის მთავრობამ გუშინ გამოაცხადა, რომ მისმა შეიარაღებულმა ძალებმა 3 მაისს უკუაგდეს სამხრეთ ვიეტნამის ჯარები, რომლებმაც კამბოჯის საზღვარი გადალახეს.

ამ შეტაკების დროს მოკლულ იქნა ოცდაათზე მეტი სამხრეთვიეტნამელი ჯარისკაცი.



«აგიტატორის ბლოკნოტი» № 9

გამოვიდა ჟურნალ „აგიტატორის ბლოკნოტი“ № 9. მასში მოთავსებულია შემდეგი მასალები: **ვ. გურგენიძე** — „მკვეთრად გავადიოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა“; **შ. ესიტაშვილი** — „მომავლის მაიებლები“; **ნ. სანაძე** — „როგორ მივიღოთ აბრეშუმის პარკის უხვი მოსავალი“; **ხ. ლაშხი** — „პარტიის რაიკომი და აგიტატორები“; **ნ. ყორდანია** — „წიგნი აგიტატორის დამხმარეა, აგიტატორი — წიგნის პროპაგანდისტი“ და სხვ.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

7 მაისი

თეატრები: ოპერისა და ბალეტის — ტრავიატა, **რუსთაველის სახელობის** — როცა ასეთი სიყვარულია, **მარჯანიშვილის სახელობის** — მარინე, **გრიბოედოვის სახელობის** — ირკუ